# კანაფის კულტივაციის ისტორია საქართველოში

ედი ზარამაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ედი ბარამაშვილი

29.06.2022

# სარჩევი


აბსტრაქტი....4

შესავალი....6

მეთოდოლოგია....7

შედეგები....8

თავი I. მცენარე კანაფი....9

თავი II. კანაფის ისტორია....12

თავი III. კანაფის გამოყენების ისტორია....13

*III.1. უძველესი დანიშნულება*....13

*III.2. კანაფის ბოჭკო*....13

*III.1. სამედიცინო და რიტუალური გამოყენება*....14

თავი IV. კანაფი საქართველოში....17

*IV.1. კანაფი ფეოდალურ ხანაში*....17

*IV.2. კანაფის კულტურა სვანეთში*....20

*IV.3. ინდუსტრიალიზაცის ეპოქა*....30

*IV.4. საბჭოთა ეპოქა და სახელმწიფო მეურნეობა*....33

დისკუსია....42

დასკვნა....43

ბიბლიოგრაფია....45

დანართები....47

# აბსტრაქტი

**შესავალი:** დღევანდელ დროში, როცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნარკოკანონმდებლობა უფრო და უფრო ლმობიერი ხდება, სულ უფრო მეტი საშუალება ჩნდება სხვადასხვა, წარსულში ტოტალურად აკრძალულ, ნივთიერებათა კვლევისა, მათი სამედიცინო ან სხვა სასარგებლო გამოყენების მიზნით.

სამედიცინო კანაფი შეიძლება ითქვას, რომ უკვე ფართო გამოყენებაშია მას შემდეგ, რაც 1996 წელს აშშ-ს შტატ კალიფორნიაში გაჩნდა პირველი პრეცედენტი სამედიცინო კანაფის ლეგალიზაციისა.

მას შემდეგ მსგავსი აქტები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში დაფიქსირდა და მათ შორის საქართველოშიც, სადაც კანაფის მოხმარება არ არის დასჯადი, რაც კანონმდებლობის მიხედვით, ნიშნავს ადამიანის ბიოლოგიურ მასალაში (შარდი/სისხლი) მისი კვალის აღმოჩენას. ეს პრეცედენტი შესაძლოა აჩენდეს გარკვეულ საფუძველს იმისა, რომ რაღაც ეტაპზე ქვეყანაში ლეგალური გახდეს კანაფის კულტივაცია და ამით ეკონომიკური ან სხვა რაიმე დივიდენდებს მოპოვება.

**კვლევის მიზანი** ამ კვლევით კი შესაძლოა დადგინდეს რა სოციო-კულტურული, ეკონომიკური და იდეოლოგიური როლი ჰქონდა კანაფის მეურნეობას საქართველოში და ასევე თუნდაც რამდენად ნაყოფიერი და შესაბამისი იყო ამ კულტურისათვის მიწა, რომელი ჯიშების მოყვანა უფრო ამართლებდა, რა ასახვა ჰქონდა ამ პროცესებს საზოგადოებაზე და ა.შ.

**მეთოდოლოგია:** კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ლიტერატურის (სამეცნიერო პუბლიკაციები, ტექნიკური ანგარიშები, საგაზეთო და ჟურნალების სტატიები) თვისებრივი მიმოხილვის მეთოდი. კერძოდ, მოხდა ყველა შესაძლო ლიტერატურისა თუ საარქივო ცნობების მოძიება, რაც აღწერს საქართველოში კანაფის კულტივაციის გამოცდილებებს. მოხდა ბიბლიოთეკებსა და არქივებში ყველა შესაძლო წიგნის, გაზეთის, ჟურნალისა თუ კვლევის მოძიება, რომლებშიც აღწერილია კანაფის

კულტურის შესწავლა, კულტივაცია, გამოყენება და ბოლოს, მოხდა შეგროვებული მონაცემების ნარატიული ანალიზი.

**შედეგები:** კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში კანაფის კულტივაციას მდიდარი ტრადიცია გააჩნია, რომელიც უხსოვარი დროიდან იწყება და არცთუ შორეულ წარსულში მთავრდება. რომაელი ისტორიკოსის, სტრაბონის, დროიდან - 1987 წლამდე, როცა კანაფის სრული აკრძალვა მოხდა, ვხვდებით უამრავ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, კულტურულ, რელიგიურ და სამედიცინო მასალებს, რომელთა მიხედვითაც საქართველოში კანაფის კულტივირებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოა.

## Abstract

**Introduction:** Nowadays, when drug legislation is becoming more and more popular in many countries of the world, there are many more opportunities are emerging for the study of various substances, totally banned in the past, for their medical or other useful use. Medical cannabis can be said to be in widespread use since 1996 when the first precedent for legalizing medical cannabis emerged in the US state of California.

Since then, similar acts have been reported in many countries around the world, including Georgia, where cannabis consumption is not punishable, which, according to the law, means finding traces of it in human biological material (urine / blood). This precedent may provide some basis for legalizing cannabis cultivation in the country at some point and thus obtaining economic or any other dividends.

**Purpose of the study:** This study may determine the socio-cultural, economic and ideological role of cannabis farming in Georgia and also how fertile and appropriate the land was for this crop, which varieties were more justified, what was the impact of these processes in society, etc.

**Methodology:** The research used the method of qualitative review of literature (scientific publications, technical reports, newspaper and journal articles). In particular, all possible literature or archival information was found, which describes the experiences of cannabis cultivation in Georgia. Libraries and archives were searched for all possible books, newspapers, magazines or researches describing the study, cultivation, use of cannabis culture, and finally a narrative analysis of the collected data was carried out. The cannabis culture was studied, cultivated, used, and finally, a narrative analysis of the collected data was performed.

**Results:** The results of the research showed that cannabis cultivation has a rich tradition in Georgia, which begins from time immemorial and ends in the recent past. From the time of the Roman historian Strabo to 1987, when cannabis was completely banned, we find a lot of

historical, ethnographic, cultural, religious and medical materials, according to which the natural environment for cannabis cultivation in Georgia is favorable.

# შესავალი

კონკრეტული რეგიონის ისტორიული ურთიერთობა ამა თუ იმ კულტურასთან, რომელიც ხელახლა ან პირველადად დანერგვას საჭიროებს, შესაძლოა გადამწყვეტი გამოდგეს ხსენებული კულტურის იმპლემენტაციის წარმატებულობაში. ქვეყნები, სადაც დღეს ლეგალური კანაფის კულტივაცია მიმდინარეობს, ხასიათდებიან წარსულში ამ მცენარესთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილებით. 2016 წლის გაეროს საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის საბჭოს ანგარიშის მიხედვით დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო სამედიცინო კანაფის წარმოების ოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო, სადაც იმპერიის ზეობის ხანაში კანაფის კულტივირება დიდ მასშტაბებს აღწევდა. 1533 წელს ჰენრი მერვის ბრძანებით გაერთიანებულ სამეფოში მიწათმფლობელებს დაევალათ კანაფის ბოჭკოს წარმოება. ელიზაბეტ პირველმა კი გაზარდა სავალდებულო მოსავლის ოდენობა და ჯარიმებიც დააწესა თუკი გლეხები შემოღებულ კრიტერიუმს ვერ დააკმაყოფილებდნენ (Deitch, 2003). ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც პირველი ქვეყანა იყო თანამედროვე ეპოქაში კანაფთან დაკავშირებული კანონმდებლობების ლიბერალიზაციის კუთხით, კანაფისგან დამზადებული სამედიცინო მოხმარების ნივთიერებების წარმოებაში კანადასთან ერთად მოწინავე ადგილს იკავებს. მსოფლიოს ცხრა ყველაზე მსხვილი, სამედიცინო კანაფის და მისი პროდუქტების მწარმოებელი კომპანია სწორედ ამ ორ ქვეყანაში მდებარეობს (Campbell, 2019). ნიდერლანდები, რომელიც ჰუმანური ნარკოპოლიტიკით განთქმული სახელმწიფოა და სადაც 1976 წლიდან გაჩნდა ე.წ. ''კოფიშოპები'', რომლებიც კანაფის ლეგალურად გამყიდველ ჯიხურებს წარმოადგენს, არის ქვეყანა სადაც 4200 წლის წინანდელი კანაფის მტვერია აღმოჩენილი გელდერლანდის პროვინციაში არსებულ ერთ-ერთ სამარხში. მოცემულ მაგალითებზე